აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 4

7 აგვისტო 2012 წელი ქ. ბათუმი

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე, თამარ ხოზრევანიძე, რამაზ ბოლქვაძე, ავთანდილ ჩახვაძე, დიმიტრი დარჩია, მამუკა ჯაში, ლილე ტეტემაძე, ნანა დავითაძე და ლევან გაბრიჩიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს ცნობის სახით გააცნო პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრები: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“-ს მიერ დანიშნული (03.08.12წ.) წევრი ლევან გაბრიჩიძე, საქართველოს კონსერვატიული პარტიის მიერ დანიშნული (04.08.12წ) წევრი დიმიტრი დარჩია და პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიერ დანიშნული (04.08.12წ.) წევრი მამუკა ჯაში, რის შემდეგაც წარადგინა დღის წესრიგი და კომისიას შესთავაზა დღის წესრიგში ცვლილების შეტანა, კერძოდ: საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის ცვლილებით დამტკიცებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება – უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;

2. დადგენილება – საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დამკვირვებელთა არჩევნებზე დაკვირვების მიზნით უსკოში რეგისტრაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება – საარჩევნო კომისიებში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე;

4. განკარგულება – უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ;

5. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში საჯარო რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ;

6. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

7. დადგენილება - საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.

1. დადგენილება

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩეილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი. ისაუბრა ინსტრუქციის თანახმად უსკოსში განცხადება/საჩივრის რეგისტრაციის, გასაჩივრების, საჩივრის განხილვის პირობებზე, წესებზე, ვადებზე და ა.შ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დამკვირვებელთა არჩევნებზე დაკვირვების მიზნით უსკოში რეგისტრაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დამკვირვებელთა არჩევნებზე დაკვირვების მიზნით უსკოში რეგისტრაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ დადგეილების პროექტი და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით

გათვალისწინებული ინსტრუქცია (წესი) ვრცელდება მხოლოდ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებზე რომლებსაც რეგისტრაცია არ ექნებათ გავლილი ცესკოში საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით და გადაწყვეტენ, რომ დაკვირვება განახორციელონ მხოლოდ უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დამკვირვებელთა არჩევნებზე დაკვირვების მიზნით უსკოში რეგისტრაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 47-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დამკვირვებელთა არჩევნებზე დაკვირვების მიზნით უსკოში რეგისტრაციის ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. აღნიშნული წესი ვრცელდება იმ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე, რომელთაც რეგისტრაცია არ გაუვლიათ ცესკოში, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი,

ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება

საარჩევნო კომისიებში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა საარჩევნო კომისიებში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საარჩევნო კომისიებში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 და 23-ე პუნქტების, საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის თანდართული ფორმა.

2. დაევალოს უსკოს აპატარის საერთო სამსახურს (ს. ჩოგაძე) საჩივრის განხილვისათვის მხარის დაბარების დადასტურება მოახდინონ ამ განკარგულების

პირველი მუხლით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 47-ე მუხლის მე-6 პუნქტის და 73-ე

მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უსკოს მიერ, ასევე საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რეგისტრირებულ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებლის/დამკვირვებელთა შესახებ უსკოში წარსადგენი ინფორმაციის შინაარსი და ფორმა (ანკეტა) დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში საჯარო რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში საჯარო რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უსკოში საჯარო ინფორმაციის რეესტრს

აწარმოებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. აღნიშნულიდან გამომდინარე, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჩ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში საჯარო რეესტრის თანდართული ფორმა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯომარემ არჩილ მიქელაძემ უსკოს მდივანს ქეთევან ჯიქიას სთხოვა კომისიისათვის განკარგულების პროექტის გაცნობა.

კომისიის მდივანმა ქეთევან ჯიქიამ კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობის ფერი იქნება წითელი, ხოლო საერთაშორისო დამკვირვებლის მოწმობის ფერი იქნება ლურჯი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე	13;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საერთაშორისო დამკვირვებლის მოწმობა უსკოში (ფორმა №6-07.25.02);

ბ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა უსკოში (ფორმა №6-07.24.02);

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება

საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: დიმიტრი დარჩიამ, მამუკა ჯაშმა და არჩილ მიქელაძემ

კომისიის წევრი მამუკა ჯაში დაინტერესდა თუ რა ხარჯებია ოლქებისათვის გამოყოფილი ხარჯებში „სხვა ხარჯები“ და მოითხოვა მისი დაზუსტება კერძოდ რის შესყიდვას აპირებენ საარჩევნო ოლქები ამ ხარჯებით.

კომისიის წევრი დიმიტრი დარჩია დაინტერესდა არის თუ არ საკმარისი პროექტით წარმოდგენილი თანახები თითოეული საარჩევნო ოლქისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ უსკოს ეკონომიკურ სამსახურთან თითოეულ საარჩევნო ოლქის თავმჯდომარეების კონსულტაციების შემდეგ მომზადებული იქნა ხსენებული დადგენილების პროექტი, სადაც გაწერილია ყველა ის ხარჯები რაც ესაჭიროებათ ოლქებს არჩევნებისთვის, რის შემდეგაც უსკოს ეკონომიკური სამსახურის უფროსს ლევან სამნიძეს სთხოვა კომისიისათვის განემარტა ოლქის ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესი შესახებ.

უსკოს ეკონომიკური სამსახურის უფროსმა ლევან სამნიძემ კომისიას განუმარტა, რომ ოლქებისათვის გამოყოფილ ხარჯებში გათვალისწინებულია გადაზიდვის (ტრანსპორტირების) ხარჯები, ხოლო სხვა ხარჯებში გათვალისწინებული თანხებით კი თითოეულ საარჩევნო ოლქს შეუძლია შეიძინოს მისთვის საჭირო საკანცელარიო და სხვა ნივთები, ასევე გამოიყენოს კომუნალურ და სხვა გადასახადებში.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 58-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი შემდეგი ოდენობით:

№	ოლქის №	ოლქის დასახელება	ოლქის ხარჯები		
			გადაზიდვის ხარჯები	სხვა ხარჯები	სულ
1	79	ბათუმი	700	1800	2500
2	80	ქედა	1250	1250	2500
3	81	ქობულეთი	1000	1500	2500
4	82	შუახევი	1250	1250	2500
5	83	ხელვაჩაური	1000	1500	2500
6	84	ხულო	1250	1250	2500
				სულ	**15000**

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია